ჟურნალ “ენერგია” – ში წარსადგენი ნაშრომის გაფორმების წესები

რედაქციაში ნაშრომი შეიძლება წარმოდგენილი იქნას ქართულ, რუსულ ან ინგლისურ ენაზე.

ნაშრომი უნდა იყოს შესრულებული ტექსტურ რედაქტორში MS Word-ში, .docx (.doc) ფორმატში. მოცულობა A4 ფორმატის (297x210 მმ) **4–6** გვერდი. შრიფტები: ქართული – Acad Nusx (ცად უსხ) ან Sylfaen, ინგლისური და რუსული – Times New Roman.

ნაშრომის დასახელების, ავტორების სახელებისა და გვარის შრიფტის ზომა 12. ავტორის სამეცნიერო (აკადემიური) ხარისხისა, თანამდებობისა და ორგანიზაციის დასახელების შრიფტის ზომა – 11. ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომა – 12, ინტერვალი – 1,5. ლიტერატურის შრიფტის ზომა – 12, ინტერვალი – 1. მინდორი გვერდის მარცხენა მხარეს – 25 მმ, ზევით, ქვევით და მარჯვნივ – 20 მმ. ანოტაციისა და საკვანძო სიტყვების შრიფტის ზომაა – 10, ინტერვალი – 1. ანოტაციის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 500 სიმბოლოს.

გრაფიკული ნაწილი უნდა შესრულდეს *.jpg ან *.bmp. ფორმატში (300–600dpi). გრაფიკულ ნაწილს განმარტებითი წარწერა მიეთითოს ქვევით – 10 შრიფტით; ფორმულები უნდა აიკრიფოს რედაქტორში Microsoft Equation 3.0. (ძირითადი ტექსტის ზომის);

ფიზიკური სიდიდეები უნდა იყოს წარმოდგენილი საერთაშორისო SI სისტემის შესაბამისად.

ნაშრომის ბოლოს ინგლისურ ენაზე უნდა იყოს მოცემული ნაშრომის დასახელება, ავტორის სახელი და გვარი, თანამდებობა, ორგანიზაცია, რეზიუმე და საკვანძო სიტყვები იგივე ზომის შრიფტითა და ინტერვალით, რაც ნაშრომის დასაწყისში.

ნაშრომის სტრუქტურა:

- ნაშრომის დასახელება;
- ერთი სტრიქონის გამოტოვებით – ავტორის (ავტორების) სახელი, გვარი, სამეცნიერო (აკადემიური) ხარისხი, თანამდებობა და ორგანიზაცია. ორი და მეტი ავტორის შემთხვევაში ყოველი ავტორი უნდა აიკრიფოს ახალ სტრიქონზე;
- ერთი სტრიქონის გამოტოვებით რეზიუმე (სტატიის ენაზე);
- საკვანძო სიტყვები (სტატიის ენაზე) 4–5 სიტყვა;
- ერთი სტრიქონის გამოტოვებით ნაშრომის ძირითადი ტექსტი;
- ერთი სტრიქონის გამოტოვებით გამოყენებული ლიტერატურა;
- ერთი სტრიქონის გამოტოვებით, ინგლისურ ენაზე: სტატიის დასახელება, ავტორის სახელი და გვარი, სამეცნიერო (აკადემიური) ხარისხი, თანამდებობა, ორგანიზაციის დასახელება, რეზიუმე და საკვანძო სიტყვები.